



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

## ბრძანება

2016 წლის 15 დეკემბერი

№ 145/04

თბილისი

### საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და ამავე კანონის 47-ე მუხლის თანახმად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია დანართი N1-ის სახით.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კ. გვენეტაძე

დანართი N1

# საქართველოს ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია

*ფინანსური განათლება ფინანსური კეთილდღეობისთვის!*

შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ  
თბილისი, 2016 წელი



## წინასიტყვაობა

ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, საქართველო აგრძელებს მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მათი ფინანსური კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. თანამედროვე სამყაროში ადამიანები საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ; მათ ორიენტაცია მუდმივად ცვალებად გარემოში უწევთ და არჩევანიც, მათ შორის, პირადი და საოჯახო ფინანსების მართვასთან დაკავშირებით, ხშირად უამრავ ალტერნატივას შორის უნდა გააკეთონ. ფინანსური ბაზრის განვითარების დონის, ასევე, დემოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველოში ფინანსური განათლება ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ინდივიდისათვის ერთ-ერთ არსებით ცხოვრებისეულ უნარად მიიჩნევა. ამდენად, ფინანსური განათლების დონის ამაღლების ამოცანამ ქვეყნისათვის სტრატეგიული ხასიათი მიიღო და ეროვნულ პრიორიტეტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, სახელმწიფო სტრუქტურების, კერძო ფინანსური სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ერთუზიანობითა და ჩართულობით, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია შემუშავა. აღნიშნული სტრატეგია მომხმარებლის უფლებების დაცვის ჩარჩოს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ის ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობისა და ინდივიდების ფინანსური კეთილდღეობის მხარდაჭერას ემსახურება.

ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებით მიზნად ვისახავდით დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტური თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, რაც, საბოლოო ჯამში, ჩვენი საერთო მიზნების განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს. ჩვენი დიდი სურვილია, მივაღწიოთ სინერგიულ თანამშრომლობას საქართველოს მოსახლეობის ფინანსური დონის ამაღლების მხარდასაჭერად, რომლის ფარგლებშიც მოვახდენთ საერთო რესურსების მაქსიმალურად ათვისებას, საუკეთესო პრაქტიკისა და რჩევების ერთმანეთისთვის გაზიარებას და ხელს შევუწყობთ მოსახლეობის პროფესიულ განვითარებას. ცხადია, ფინანსური ცოდნის ხელმისაწვდომობის მიღწევა სულაც არ არის მოკლევადიანი ამოცანა და ეს დოკუმენტი ვერ შეძლებს აღწეროს ამ მიმართულებით ყველა მნიშვნელოვანი საკითხი; მაგრამ ჩვენ მზად ვართ დაუღალავად ვიშრომოთ უკეთესი მომავლისათვის.

სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში საქართველოში ფინანსური ცოდნისა და ფინანსური ჩართულობის დონის შესასწავლად ფართომასშტაბიანი კვლევა განვახორციელეთ. აღნიშნული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მიმდინარე ეტაპზე ჩვენი მოსახლეობა არასაკმარის ცოდნას ამჟღავნებს ფინანსების დაგეგმვისა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. ამავდროულად, ამ კვლევამ უფრო ნათლად დაგვანახა, თუ რა მიზნებითა და მიდგომებით უნდა გვეხელმძღვანელა სტრატეგიის ფარგლებში.

ფინანსური განათლების ეროვნულ სტრატეგიაში აღწერილია ის მიზნები და აქტივობები, რომლებსაც ამ ეტაპზე წარმოდგენილი დაინტერესებული მხარეები იზიარებენ. მინდა დიდი



მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, ვინც მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია და საკუთარი ძალისხმევა ჩადო მოცემული სტრატეგიის შემუშავებაში, მათ შორის, დაინტერესებულ მხარეებს, დონორებს, ინდივიდებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ამ პროექტში. ვიმედოვნებ, რომ მათი ძალისხმევა მომავალში არ შენელებს. აქვე, მინდა მივმართო მათაც, ვისაც არ მიუღია მონაწილეობა სტრატეგიის განვითარებაში, თუმცა დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს და მოვუწოდო, რომ შემოგვიერთდეს ამ დიდ წამოწყებაში, რათა ერთობლივი ძალისხმევით უფრო ეფექტურად აღჭურვოთ მოსახლეობა ფინანსური ცოდნით და ადამიანებს საშუალება მივცეთ საკუთარ ფინანსებთან დაკავშირებით გონივრული გადაწყვეტილებები მიიღონ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერითა და ჩართულობით მოცემულ სტრატეგიას წარმატებით განვახორციელებთ.

*კობა გვენეტაძე*

*საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი*



# შინაარსი

მოკლე შინაარსი.....	6
1. სტრატეგიის მიმოხილვა.....	9
1.1. რას მოიცავს სტრატეგია.....	9
1.2. რას გულისხმობს ტერმინი “ფინანსური განათლება”.....	9
1.3. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ხედვა, მისია და სტრატეგიული ფოკუსები .....	10
1.4. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის საზედამხედველო, მმართველი და აღმასრულებელი სტრუქტურები .....	11
1.5. სტრატეგიის ჩარჩო .....	12
2. ფინანსური განათლება და საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობა.....	13
2.1. საქართველოში ფინანსური განათლების დონის ამაღლების მნიშვნელობა .....	13
2.2. ფინანსური განათლების დონე საქართველოში.....	14
2.3. ფინანსური განათლების მაღალი საჭიროების მიზნობრივი ჯგუფები.....	19
3. სტრატეგიული მიზნები და სამოქმედო გეგმები.....	21
3.1. ფინანსური განათლების შინაარსი .....	21
3.2. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიული მიმართულებები .....	21
3.3. სტრატეგიის სამოქმედო პრინციპები .....	25
3.4. ფინანსური განათლების პროგრამების განხორციელების არხები .....	27
4. მონიტორინგი და შედეგების გაზომვა .....	30
4.1. საზოგადოების ფინანსური განათლების დონის რეგულარული შეფასება.....	30
4.2. ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგი და შედეგების გაზომვა .....	30
5. პროგრამების დაფინანსება.....	31



## მოკლე შინაარსი

1. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია (შემდგომში - სტრატეგია) მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში მისი ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მომხმარებლების უფლებების დაცვის წინაპირობა გახდება.
2. მოცემული დოკუმენტი აღწერს ძირითად მიდგომებს, რომლებსაც სამომავლოდ უნდა დაეფუძნოს ცალკეული პროგრამები, რათა ეფექტურად და სათანადოდ მოხდეს სტრატეგიის განხორციელება.
3. სტრატეგიის მთავარი გზავნილები:
  - ✓ **სტრატეგიის ხედვა** - საქართველოს მოსახლეობას აქვს ცოდნა, უნარები, შესაძლებლობა და რწმენა გონივრულად მართოს საკუთარი და ოჯახის ფინანსები.
  - ✓ **სტრატეგიის მისია** - შეიმუშაოს მთავარი პრინციპები და სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში ფინანსური განათლების ასამაღლებლად, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის მოსახლეობის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და მათი კეთილდღეობის ზრდას.
  - ✓ **მთავარი სტრატეგიული მიმართულებები** ზემოაღნიშნული მისიის შესასრულებლად გახლავთ: (ა) ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცოდნის ამაღლება; (ბ) დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავება; (გ) განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოება.
4. **განმარტება** - ფინანსური განათლება არის პროცესი, რომლის შედეგადაც პიროვნებას უკეთ ესმის ფინანსური საკითხების შინაარსი, არსი და რისკები და ხელმისაწვდომი ინფორმაციის, ინსტრუქციებისა და ობიექტური რჩევების საფუძველზე ავითარებს საკუთარ თავში ცოდნას, უნარებს და რწმენას - გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი, მიიღოს პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, იცის სად წავიდეს დახმარების მისაღებად და განახორციელოს სხვა ეფექტური ქმედებები, რათა გაიუმჯობესოს ფინანსური კეთილდღეობა.
5. **შინაარსი** - ფინანსური განათლება მოიცავს შემდეგ საკითხებს:
  - ✓ პირადი და ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა;
  - ✓ ფული და გადასახადები;
  - ✓ დანაზოგი და ინვესტიციები;
  - ✓ სესხები და მათი მართვა;
  - ✓ მომხმარებლების უფლებების ცოდნა და დაცვა;
  - ✓ ფინანსური მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და შედარების



არხების მნიშვნელობა;

- ✓ თაღლითობისა და ფინანსური დანაშაულის პრევენცია და ამგვარი შემთხვევებისგან თავდაცვის საშუალებები;
- ✓ დაზღვევის საკითხები.

6. **სამოქმედო პრინციპები** სტრატეგიის განხორციელებისას:

- ✓ მუშაობა პარტნიორობის საფუძველზე;
- ✓ მეთოდებისა და არხების ფართო არჩევანზე ორიენტირება;
- ✓ არსებული ინიციატივებისა და გამოცდილების გამოყენება, მათ შორის, სხვა ქვეყნის მაგალითებზე სწავლა;
- ✓ პრიორიტეტების განსაზღვრა;
- ✓ ორიენტაცია მდგრად, გრძელვადიან ცვლილებებზე;
- ✓ ფოკუსირება მომხმარებლებსა და მათს საჭიროებებზე;
- ✓ ეფექტიანი კომუნიკაცია;
- ✓ ხარჯების ეფექტურობის მაქსიმიზაცია.

7. **მიზნობრივი ჯგუფები** - სტრატეგიის ფარგლებში შეირჩა საზოგადოების განსაკუთრებულად საჭიროების მქონე ჯგუფები:

- ✓ ახალგაზრდა თაობა - სტუდენტები და მოსწავლეები;
- ✓ უმუშევარი მოსახლეობა;
- ✓ დიდ კომპანიებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები;
- ✓ სოფლის მოსახლეობა;
- ✓ ადამიანები კონკრეტული ცხოვრებისეული მომენტების წინაშე.

8. ფინანსური განათლების პროგრამების განხორციელების **არხების** შერჩევა მოხდება მიზნობრივი ჯგუფების შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ასე მაგალითად, სკოლები და უმაღლესი განათლების დაწესებულებები გავრცელების არხებად შეირჩევა მოსწავლეებისა და ახალგაზრდობისათვის, სამუშაო ადგილები – დიდ კომპანიებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთათვის, ადგილობრივი რესურსცენტრები – სოფლის მოსახლეობისათვის, მედია არხები, დასაქმების პორტალები და პროფესიული ტრენინგ ცენტრები კი მათთვის, ვინც დაინტერესებულია შეისწავლოს ახალი პროფესია ან აიმაღლოს საკუთარი განათლებისა და შრომისუნარიანობის ხარისხი. ხოლო იმ ადამიანებისთვის, რომლებიც კონკრეტული ცხოვრებისეული მომენტების წინაშე დგანან, შეირჩევა ის არხები, რომელთა მეშვეობითაც მოხერხდება ამ კონკრეტულ, „სპეციფიურ“ სიტუაციებზე წვდომა. მაგალითად, მომავალი სტუდენტებისთვის, რომლებიც ეძებენ სწავლის დაფინანსების წყაროებს უმაღლესი განათლების მისაღებად, ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტური სესხების გამცემი ფინანსური ინსტიტუტების ფილიალებში, უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; ასევე, საჯარო და კერძო დაწესებულებებში, რომლებიც ახალგაზრდებს სწავლის დაფინანსებას



სთავაზობენ.

9. **მმართველი სტრუქტურა** - საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს სტრატეგიის წამყვან სტრუქტურას და ძირითად მაკოორდინებელ ორგანოს სტრატეგიის განვითარების თვალსაზრისით. ის პასუხისმგებელი იქნება სტრატეგიის მონიტორინგსა და განხორციელებაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის ინიცირებითა და კოორდინაციით ჩამოყალიბდება მმართველი ორგანო – კომიტეტის, საბჭოს, ან სხვა შესაბამისი ფორმით – რომლის შემადგენლობაშიც შევლენ არსებული და პოტენციური დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. მმართველი ორგანო შეაფასებს მიმდინარე და სამომავლო პროექტებს, წარმოადგენს ინიციატივებსა და რეკომენდაციებს, განახორციელებს სხვადასხვა ტიპის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას და ასევე, წახალისებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს ჩაერთონ სტრატეგიის განხორციელებაში.
10. **დაფინანსება** - სტრატეგიის ეფექტური განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია პროგრამების ფორმირებისა და განხორციელებისათვის საჭირო ფინანსების არსებობაც. სტრატეგიის ფარგლებში სხვადასხვა ინიციატივების დაფინანსება მოხდება შემდეგი წყაროებიდან: საჯარო ინსტიტუტები, დონორები, ფინანსური ორგანიზაციები, ასევე, სხვა ნებისმიერი მხარე, რომელიც გამოხატავს მზაობას საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში.
11. **შედეგების შეფასება და სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი** - სტრატეგიის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია შედეგების გაზომვის და შეფასების ეტაპებიც, რომლის დროსაც გაანალიზდება განხორციელებული ინიციატივების ეფექტურობა. შედეგების შეფასება და სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგი, როგორც ზოგადად, ისე ცალკეული პროგრამების კრილში დაეხმარება ფინანსური განათლების მიმწოდებლებს გამოავლინონ ეფექტური და შედეგიანი მიმართულებები ფინანსური ქცევების პოზიტიური ცვლილებების წასახალისებლად.



## 1. სტრატეგიის მიმოხილვა

### 1.1. რას მოიცავს სტრატეგია

12. მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი ფინანსურ ვალდებულებებს უკავშირდება. თანამედროვე სამყაროში, სადაც სულ უფრო და უფრო კომპლექსურ ფინანსურ პროდუქტებთან გვიწევს შეხება, გარკვეულ საბაზისო ცნებებზე წარმოდგენის არქონის პირობებში ფინანსების მართვასთან დაკავშირებული სათანადო გადაწყვეტილებების მიღება საკმაოდ რთულია. ფინანსურად განათლებულ ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი დანაზოგებისა თუ ინვესტიციების განხორციელებაზე, სესხის აღებასა და სხვა ფინანსურ საკითხებზე, მაშინ როცა ფინანსური ცოდნის არქონა იწვევს მომხმარებლების ისეთ არასახარბიელო შედეგებთან შეჯახებას, როგორცაა: ზედმეტი დანახარჯები ტრანზაქციის საკომისიოებზე, ჭარბვალიანობა, მაღალი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე. ეს ყველაფერი კი მათ ფინანსურ კეთილდღეობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. გარდა ამისა, ფინანსური გაუნათლებლობის პირობებში უფრო მაღალია მომხმარებლების უფლებების დარღვევის რისკი. ამდენად, ფინანსური საკითხების ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია და ფინანსური განათლებაც თითოეული ადამიანის არსებით ცხოვრებისეულ უნარად იქცა. სწორედ ამიტომ, აღნიშნულმა საკითხმა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა როგორც მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის, ისე მისი უფლებების დაცვის თვალსაზრისით.
13. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია დღის წესრიგში აყენებს ფინანსური განათლების დონის ამაღლების ამოცანას, რომლისთვისაც საჭიროდ მიიჩნევა: (ა) დაინტერესებული მხარეების თავმოყრა საჯარო, ფინანსური, საგანმანათლებლო და სამოქალაქო სექტორების მხრიდან, (ბ) შესაბამისი გარემოსა და რესურსების შექმნა, (გ) ფინანსური განათლების გავრცელების ყველა საჭირო არხის განვითარება.
14. მოცემული დოკუმენტი აღწერს ზოგად მიდგომებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინდივიდუალური პროგრამების შემუშავებისას, რათა ეფექტურად და წარმატებით მოხდეს სტრატეგიის განხორციელება.

### 1.2. რას გულისხმობს ტერმინი “ფინანსური განათლება”

15. მოცემული სტრატეგიის მიზნებისათვის მოხდა იმ განმარტების ადაპტაცია, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (Organization for Economic Co-operation and Development - OECD) შეიმუშავა და ის შემდეგი ფორმით ჩამოყალიბდა: „ფინანსური განათლება არის პროცესი, რომლის შედეგადაც პიროვნებას

უკეთ ესმის ფინანსური საკითხების შინაარსი, არსი და რისკები და ხელმისაწვდომი ინფორმაციის, ინსტრუქციებისა და ობიექტური რჩევების საფუძველზე ავითარებს საკუთარ თავში ცოდნას, უნარებს და რწმენას - გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი, მიიღოს პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, იცის სად წავიდეს დახმარების მისაღებად და განახორციელოს სხვა ეფექტური ქმედებები, რათა გაიუმჯობესოს ფინანსური კეთილდღეობა“.

16. ფინანსური განათლება არ მოიცავს მარკეტინგსა და მეწარმეობასთან დაკავშირებულ საკითხებს და არ ითვალისწინებს მომხმარებლებისთვის კონკრეტული რჩევების მიცემას ან შეზღუდვების დაწესებას, მაგალითად, ისარგებლოს თუ არა ამა თუ იმ კონკრეტული ფინანსური მომსახურებით. თუმცა, ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ სამეწარმეო განათლება შესაძლოა დაინერგოს ფინანსური განათლების პროცესის პარალელურად იმისათვის, რომ მომხმარებლებში ფულის მიმართ დადებითი დამოკიდებულება გააღვივოს და შექმნას პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების კულტურა.
17. ადამიანები სპეციფიური ტიპის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენას საჭიროებენ სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით, მათ შორის, იმის მიხედვით, თუ რომელ სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან, ცხოვრების რომელ ეტაპზე იმყოფებიან, რა საჭიროებები აქვთ და ა.შ.

### 1.3. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ხედვა, მისია და სტრატეგიული ფოკუსები

18. **სტრატეგიის ხედვა** - საქართველოს მოსახლეობას აქვს ცოდნა, უნარები, შესაძლებლობა და რწმენა გონივრულად მართოს საკუთარი და ოჯახის ფინანსები.
19. **სტრატეგიის მისია** - შეიმუშაოს მთავარი პრინციპები და სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში ფინანსური განათლების ასამაღლებლად, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის მოსახლეობის ფინანსურ სტაბილურობის უზრუნველყოფასა და მათი კეთილდღეობის ზრდას.
20. მთავარი **სტრატეგიული** მიმართულებები ზემოაღნიშნული მისიის შესრულების მიზნით მოიცავს შემდეგ მთავარ ამოცანებს:
  - ✓ ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცოდნის ამაღლება;
  - ✓ დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავება;
  - ✓ განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოება.

#### 1.4. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის საზედამხედველო, მმართველი და აღმასრულებელი სტრუქტურები

21. სტრატეგიის წამყვანი სტრუქტურა, რომელიც განახორციელებს როგორც ამ სტრატეგიის განვითარების კოორდინაციას, ასევე, მისი მიმდინარეობის მონიტორინგს - არის საქართველოს ეროვნული ბანკი.
22. ცალკეული პროგრამების ინიცირება და დანერგვა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ, თუმცა აღნიშნულ პროცესს საქართველოს ეროვნული ბანკი გაუწევს კოორდინაციას.
23. საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივითა და კოორდინებით ჩამოყალიბდება მმართველი ორგანო – საბჭოს, კომიტეტის, ან სხვა შესაბამისი ფორმით – რომლის შემადგენლობაშიც შევლენ არსებული და პოტენციური დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები. მმართველი ორგანო შეაფასებს მიმდინარე და სამომავლო პროექტებს, წამოჭრის ინიციატივებსა და რეკომენდაციებს, განახორციელებს სხვადასხვა ტიპის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას, ასევე, წახალისებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას სტრატეგიის განხორციელების საქმეში.
24. სტრატეგიის განხორციელების საწყის ეტაპზე საქართველოს ეროვნული ბანკი საკუთარ ძალისხმევას მიმართავს დაინტერესებულ მხარეებზე - განსაკუთრებით კერძო საფინანსო სექტორის წარმომადგენლებზე - ფინანსური განათლების ამალგების დადებით შედეგებთან დაკავშირებული ცნობიერების ამალგებისა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით.
25. დაინტერესებულ მხარეებს შორის ფინანსური განათლების ამალგების პოზიტიური შედეგების შესახებ აღქმის ამალგების პარალელურად, ეტაპობრივად მოხდება მმართველ ორგანოში მათი ჩართულობისა და როლის გაზრდაც.
26. სტრატეგიის განხორციელებაში მოიაზრება დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრის ჩართულობა 3 ძირითადი მიმართულებით:
  - ✓ სახელმწიფო სტრუქტურები:
    - სამინისტროები
    - საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ–ები)
    - სხვა სახელმწიფო სტრუქტურები
  - ✓ კერძო საფინანსო სექტორი:
    - კომერციული ბანკები
    - მიკროსაფინანსო ინსტიტუტები
    - კაპიტალის ბაზრის წარმომადგენლები
    - სადაზღვევო კომპანიები
    - სხვა ფინანსური ინსტიტუტები

- ✓ სამოქალაქო სექტორი:
  - არასამთავრობო ორგანიზაციები
  - დონორი ორგანიზაციები
  - საგანმანათლებლო ინსტიტუტები
  - სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლები

## 1.5. სტრატეგიის ჩარჩო

27. შინაარსის თვალსაზრისით, მოცემული სტრატეგიის დოკუმენტი პირველია ქვეყანაში და მიზნად ისახავს აღწეროს ზოგადი მიზნები და მიდგომები საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების საჭიროებებთან მიმართებაში.
28. ეს დოკუმენტი აღწერს ხედვას საქართველოს მოსახლეობის ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხებზე, სასურველ შედეგებს, მათ მისაღწევად საჭირო მოქმედებებსა და წარმატების გასაზომად გამოყენებულ პარამეტრებს.
29. სტრატეგიის განხორციელების პირველ ეტაპზე აქცენტი გაკეთდება დაინტერესებულ მხარეებში ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ აღქმის ამაღლებასა და წარმატებული ურთიერთთანამშრომლობის აწყობაზე.
30. პარალელურად, სტრატეგიის ფარგლებში შემუშავდება სხვადასხვა კონკრეტული პროგრამები; თითოეული მათგანი კი გაიწერება ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დოკუმენტით. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული სამოქმედო გეგმები მათ განხორციელებამდე განიხილება და დამტკიცდება მმართველი ორგანოს სხდომაზე.
31. არსებითია იმის აღნიშვნაც, რომ რეგულარულად მოხდება სტრატეგიის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი რელევანტურობა, დასახულ მიზნებთან შესაბამისობა და ასევე, რეალური ცვლილებების მიღწევა ქართულ საზოგადოებაში.

## 2. ფინანსური განათლება და საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობა

### 2.1. საქართველოში ფინანსური განათლების დონის ამაღლების მნიშვნელობა

32. უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველოში ფინანსური განათლების დონის ამაღლებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ეკონომიკური განვითარება განაპირობებს ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემოთავაზებული სერვისების სპექტრის გაფართოებას, სხვადასხვა ტიპის კრედიტზე ხელმისაწვდომობის ზრდასა და მიკროსაფინანსო და სწრაფი, ე.წ. „ონლაინ“ სესხების პროვაიდერების რაოდენობის მატებას; ამასთან, ფინანსური პროდუქტები უფრო და უფრო კომპლექსურ ფორმას იძენენ, ხოლო სარეკლამო კამპანიები უფრო და უფრო აგრესიული და მიმზიდველნი ხდებიან. ერთის მხრივ, ამგვარი ეკონომიკური განვითარება ადამიანებს პოტენციური სარგებლის ზრდის საშუალებას აძლევს: კონკურენტული გარემო ბაზარზე შემოთავაზებული ფინანსური მომსახურებების დახვეწას უწყობს ხელს, მომხმარებელს უკეთესი არჩევანის საშუალებას აძლევს და ამავდროულად, ფინანსური ინსტიტუტებისაკენ გზას იმ ადამიანებსაც უკვალავს, რომლებსაც აქამდე სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდულად ჰქონდათ ფინანსებზე წვდომა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოწვევები ზრდის რისკებსაც, რომლებიც შესაძლოა არც არსებული, და არც ახალი მომხმარებლებისთვის ნაცნობი არ არის. ფინანსური განათლების დონის ამაღლება დაეხმარება მოსახლეობას, გამოიყენოს ზემოაღნიშნული ახალი შესაძლებლობების უპირატესობები ისე, რომ არ დააყენოს საკუთარი თავი გაუაზრებელი რისკების წინაშე.
33. სტრატეგიის განხორციელება სასარგებლო იქნება საზოგადოების ყველა სექტორისათვის - როგორც მოსახლეობისა და ფინანსური ინსტიტუტებისათვის, ისე ზოგადად მთელი ქვეყნისათვის.
- ✓ **ფინანსური განათლების სარგებლიანობა რიგითი მომხმარებლებისათვის** - რამდენადაც ფინანსური განათლების გაუმჯობესების მთავარი მიზანია - ადამიანებმა შეძლონ ბაზარზე არსებული შემოთავაზებების უფრო რაციონალური შეფასება და, შედეგის სახით, არასაჭირო ხარჯებისა და გაუმართლებელი რისკების თავიდან აცილება, და მიიღონ უფრო გონივრული გადაწყვეტილებები - საბოლოო ჯამში, აღნიშნული ამოცანის განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც ინდივიდების, ისე მათი ოჯახების კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ფინანსური განათლების პირობებში ადამიანები უფრო მეტად და გონივრულად გამოიყენებენ ფინანსურ სერვისებს, რაც გაზრდის მათი ფინანსური ჩართულობის დონეს; ამასთან, მათ მიეცემათ შესაძლებლობა,

უფრო ხელსაყრელ ფასებად მიიღონ შემოთავაზებები და შემცირდება სხვადასხვა წამგებიან ტრანზაქციებში ჩართვის ალბათობა, მათ შორის, ფინანსური თადლითობის სქემებში გახვევის რისკი.

- ✓ **ფინანსური განათლების დონის ამაღლება ფინანსური ინსტიტუტების ინტერესთა სფეროსაც მოიცავს.** მომხმარებლები, რომლებსაც ფინანსურ სფეროში განათლების მაღალი დონე აქვთ, უფრო მეტი სანდოობით ხასიათდებიან და უკეთესად აცნობიერებენ, როდესაც მათ მიმართ სამართლიანი ქმედებები ხორციელდება. ყოველივე ეს ეხმარება ფინანსურ ინსტიტუტებს შეამცირონ ახალი მომხმარებლების მოზიდვასთან დაკავშირებული ხარჯები; მათ საშუალება ეძლევათ, იმოქმედონ უკვე მომწიფებული ცნობიერების მქონე ბაზარზე. შედეგად, ფინანსურ ინსტიტუტებს შეეხება ექნებათ გათვითცნობიერებულ მომხმარებლებთან, რაც, თავის მხრივ, დაბალრისკიან მომხმარებლებსაც ნიშნავს, ვინაიდან ფინანსურად განათლებულმა მომხმარებლებმა უკეთ იციან საკუთარი პასუხისმგებლობებიც. ამასთან, ფინანსურ ინსტიტუტებს მოუწევთ ნაკლები დრო ხარჯონ მომხმარებლებისათვის ფინანსური პროდუქტებისა და სერვისების საბაზისო თავისებურებების ახსნაზე. სტრატეგიის განხორციელება, მომხმარებლების უფლებების ეფექტურად დაცვის პარალელურად, შედეგად მოგვცემს ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებზე გაზრდილ მოთხოვნას და შეამცირებს მომხმარებლების მიერ მათთვის შეუსაბამო პროდუქტების არჩევას - ეს კი, რისკების შემცირების თვალსაზრისით, კიდევ ერთი სარგებელი იქნება ფინანსური ინსტიტუტებისათვის.
- ✓ რაც შეეხება ზოგადად ქვეყნისათვის მიღებულ სარგებელს - მაღალი ფინანსური განათლების პირობებში ქვეყანაში ყალიბდება გარემო, სადაც როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ისე კერძო ბიზნესის სექტორს გააჩნია თანაბარი შესაძლებლობები თვითგანვითარებისათვის; მხარეები მოქმედებენ გონივრულად, იღებენ ურთიერთსასარგებლო შედეგებს, საბოლოო ჯამში კი, აღწევენ ფინანსურ კეთილდღეობას.

## 2.2. ფინანსური განათლების დონე საქართველოში

34. გასული წლების განმავლობაში საქართველოში ჩატარდა რამდენიმე კვლევა მოსახლეობის როგორც ზოგადი განათლების, ისე ფინანსური განათლების დონის შესაფასებლად (მაგ. 2009 წელს ორგანიზაციის PISA (Programme for International Student

Assessment<sup>1</sup>) მიერ მოზარდებში ჩატარებული კვლევა; Standard & Poor's-ის 2014 წლის გლობალური კვლევა ფინანსური განათლების დონის შესასწავლად (2014 S&P Global FinLit Survey<sup>2</sup>), და სხვა). აღნიშნულმა კვლევებმა აჩვენა, რომ როგორც ზოგადი განათლების, ისე ფინანსური განათლების დონის მიხედვით, ქვეყანაში არადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო.

35. ზემოაღნიშნული კვლევები საბოლოო ჯამში არ იძლეოდა საკმარის და მრავალმხრივ წარმოდგენას ქვეყანაში მოსახლეობის ფინანსური განათლების დონესთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვანი ბაზისი უნდა ყოფილიყო ეფექტური ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის შესამუშავებლად. ამიტომ, 2016 წლის აპრილში საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით მთელი ქვეყნის მასშტაბით ფინანსური განათლების სიღრმისეული კვლევა განხორციელდა. აღნიშნული კვლევა დიდწილად ეფუძნებოდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (Organisation for Economic Co-operation and Development - OECD) ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (International Network on Financial Education - INFE) ფინანსური განათლებისა და ფინანსური ჩართულობის კვლევის მეთოდოლოგიას.<sup>3</sup> კვლევის შედეგებმა გამოავლინა საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლების დონე, ქცევებისა და დამოკიდებულებების თავისებურებები, ფინანსური პროდუქტების ცნობადობისა და გამოყენების ხარისხი, და სხვა საინტერესო საკითხები.

- ✓ **ფინანსური ცოდნა** - რესპონდენტთა ცოდნა საბაზისო ფინანსური ცნებების შესახებ ცოდნის შესაფასებელი 7 კითხვით შემოწმდა. შედეგებმა გამოავლინა, რომ მართალია მოსახლეობის უმრავლესობას ესმის ინფლაციის განმარტება (85%) და შეუძლია მარტივი კალკულაციების გაკეთება ე.წ. „მარტივი“ პროცენტის გამოსათვლელად (94%), დეპოზიტზე ე.წ. „რთული პროცენტის“ დაანგარიშების პრინციპი გამოკითხულთა გაცილებით მცირე ნაწილისთვისაა ცნობილი (46%). ამასთან, მოსახლეობის ნახევარზე მეტი სწორად აღიქვამს რისკის დივერსიფიკაციის მნიშვნელობას (63%) და ფულის ღირებულებას დროში (60%). გამოკითხვის შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები მარტივ შეკითხვებს ძირითადად სწორად სცემენ პასუხს, რთულ შეკითხვებზე სწორად პასუხის გაცემა მათთვის მეტ-ნაკლებად სირთულეებთანაა დაკავშირებული.
- ✓ **ფინანსური ქცევა** - სწორი ფინანსური ქცევა ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა ფინანსური კეთილდღეობისათვის. კვლევებმა გამოავლინა მოსახლეობისთვის დამახასიათებელი ქცევების ტენდენციები ხარჯების დაგეგმვასთან,

<sup>1</sup> [http://www.acer.edu.au/documents/acer\\_pisa%202009%2B%20international.pdf](http://www.acer.edu.au/documents/acer_pisa%202009%2B%20international.pdf)

<sup>2</sup> [http://gflec.org/wp-content/uploads/2015/11/Finlit\\_paper\\_16\\_F2\\_singles.pdf](http://gflec.org/wp-content/uploads/2015/11/Finlit_paper_16_F2_singles.pdf)

<sup>3</sup> [http://www.oecd.org/daf/fin/financial-education/2015\\_OECD\\_INFE\\_Toolkit\\_Measuring\\_Financial\\_Literacy.pdf](http://www.oecd.org/daf/fin/financial-education/2015_OECD_INFE_Toolkit_Measuring_Financial_Literacy.pdf)



დაზოგვასა და ფინანსური პროდუქტებით სარგებლობასთან დაკავშირებით. როგორც შედეგები ცხადყოფს, მოსახლეობის 40%-მდე ამა თუ იმ ფორმით ახდენდა თანხების შენახვა-დაზოგვას გასული ერთი წლის განმავლობაში; შედარებით დაბალშემოსავლიან და ფინანსური განათლების დაბალი დონის მქონე რესპონდენტებს თანხის ძირითადად სახლში შენახვა ახასიათებთ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფინანსური განათლებისა და შემოსავლის დონის ზრდის ადეკვატურად, მნიშვნელოვნად უმჯობესდება როგორც დაზოგვის კულტურა, ისე რესპონდენტის შინამეურნეობაში სესხების გამოყენების მაჩვენებელიც. თუმცადა, ფინანსური მიზნების დასახვა და ამ მიზნებისათვის კონკრეტული ქმედებების განხორციელება, მათ შორის, დაზოგვა, მოსახლეობის მხოლოდ 57%-ისთვისაა დამახასიათებელი, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფინანსური განათლების სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების ფარგლებში. დაბოლოს, გამოკითხულთა 29.7%-მა განაცხადა, რომ საერთოდ არ სარგებლობს რაიმე ფინანსური პროდუქტით. ეს შედეგი შესაძლოა არაზუსტი იყოს და გამოწვეული იყოს იმით, რომ საქართველოში ადამიანები, როგორც წესი, თავს იკავებენ პირადი ფინანსური საკითხების ღიად განხილვისგან; ამასთან, ხშირ შემთხვევაში, მომხმარებლები შესაძლოა კარგად ვერ აცნობიერებდნენ, რომ ამა თუ იმ პროდუქტით სარგებლობენ (მაგ. განვადებით სარგებლობისას ბევრი რესპონდენტი შესაძლოა ვერ იაზრებდეს, რომ მიმდინარე ანგარიშსაც ფლობს). რეალურად, საქართველოში ფინანსური პროდუქტებით სარგებლობის მაჩვენებელი არ არის დაბალი, რაზეც სხვადასხვა სტატისტიკური წყაროებიც მიუთითებს. საილუსტრაციოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) 2016 წლის ფინანსებზე წვდომის კვლევის (Financial Access Survey) მიხედვით, საქართველოში ყოველ 1000 ადამიანზე საშუალოდ 1578 საბანკო ანგარიში მოდის. ეს მაჩვენებელი შესადარის ქვეყნებში დაფიქსირებულ ანალოგიურ მონაცემებს მნიშვნელოვნად არ ჩამოუვარდება, რიგ შემთხვევებში – აღემატება კიდევ.<sup>4</sup>

- ✓ **ფინანსებისადმი დამოკიდებულება** - მოსახლეობის დამოკიდებულება და განწყობა ფინანსების მიმართ მათი ქცევების განსასაზღვრად კარგი ინდიკატორს წარმოადგენს. კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა დამოკიდებულებების გამოსავლენად შეთავაზებული იყო სამი ტიპის დებულება ფულთან, ხარჯვასა და მომავლის დაგეგმვასთან მიმართებაში. როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო, გამოკითხულთა მხოლოდ 32% ანიჭებს მეტ უპირატესობას გრძელვადიან დაზოგვას, ვიდრე ფულის ხარჯვას, ხოლო

<sup>4</sup> იხ. IMF-ის ფინანსებზე წვდომის კვლევა შემდეგ ბმულზე: <http://data.imf.org/?sk=E5DCAB7E-A5CA-4892-A6EA-598B5463A34C&id=1460054136937>



გამოკითხულთა უმრავლესობა (93%) იხრება იმ მოსაზრებისკენ, რომ ფული სწორედ იმისთვის არსებობს, რომ დაიხარჯოს.

36. აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ფინანსური განათლების დონე მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტში - დასაქმების სტატუსის, შემოსავლების მოცულობის, ასაკის, განათლების დონისა და რეგიონების მიხედვით. თვალსაჩინო შეფასების მიზნებისთვის გამოყენებულ იქნა 100-ქულიანი სისტემა. საქართველოს მთლიანი მოსახლეობის ფინანსური განათლების საშუალო დონე 58.8 ქულას შეადგენს. ქვემოთ მოცემულია კვლევის შედეგად გამოვლენილი რამდენიმე ძირითადი მიგნება სწორედ სეგმენტურ ჭრილში:

- ✓ **ფინანსური განათლება დასაქმების სტატუსის მიხედვით** - ფინანსური განათლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ფინანსური კეთილდღეობისა თუ პროფესიული წარმატების მისაღწევად. აღნიშნულს კვლევის შედეგებიც ცხადყოფს, რომლის მიხედვითაც, დასაქმებული მოსახლეობა, უმუშევარ სეგმენტთან შედარებით, ფინანსური განათლების უფრო მაღალი დონით გამოირჩევა. დასაქმებულ მოსახლეობას შორის ფინანსური განათლების საუკეთესო მაჩვენებელი (70,9 ქულა) უმაღლესი მენეჯმენტის პოზიციაზე მომუშავე პირებმა მიიღეს, ხოლო ყველაზე დაბალი ცოდნა – სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის სექტორში დასაქმებულმა პირებმა (54,0 ქულა), ასევე, ხელოსნებმა და სხვა მონათესავე პროფესიის მუშაკებმა (56,8 ქულა) გამოავლინეს.
- ✓ **ფინანსური განათლება შემოსავლის დონის მიხედვით** - ფინანსური განათლების დონე დადებით კორელაციაშია შემოსავლის დონესთან; რაც უფრო მაღალია ფინანსური განათლების დონე, მით უფრო მაღალია შინამეურნეობის შემოსავალი. იმ შინამეურნეობების ფინანსური განათლების დონე, რომელთა შემოსავალი თვეში 550 ლარზე (ქვეყნის მასშტაბით შინამეურნეობების ყოველთვიური მედიანური შემოსავლების 75%) დაბალია, კვლევის შედეგად საშუალოდ 56,0 ქულით შეფასდა; 551-დან 900 ლარის (ქვეყნის მასშტაბით შინამეურნეობების ყოველთვიური მედიანური შემოსავლების 125%) ფარგლებში შემოსავლის მქონე შინამეურნეობებმა საშუალოდ 62,4 ქულიანი, ხოლო 901 ლარს ზემოთ შემოსავლების მქონეებმა – საშუალოდ 63,6 ქულიანი შეფასება მიიღეს.
- ✓ **ფინანსური განათლება ასაკის მიხედვით** - კვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ ფინანსური განათლების უფრო მაღალი დონით ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მოსახლეობა (18-55 წელი) ხასიათდება, ხოლო შედარებით ასაკოვანი მოსახლეობა (56+ წელი), როგორც წესი, განათლების დაბალ დონეს ავლენს. უფრო კონკრეტულად კი, ყველაზე მაღალ ცოდნას ფინანსებში 36-45



წლის ასაკის რესპონდენტები ავლენენ (62,0 ქულა), მათ მოსდევს 18-25 და 26-35 ასაკობრივ შუალედებში მყოფი სეგმენტები (ორივე 59,5 ქულით). რესპონდენტებმა 56-65 და 66+ წლის ასაკობრივ ჯგუფებში ყველაზე დაბალი ცოდნა გამოავლინეს და შესაბამისად, საშუალოდ 57,9 და 54,2 ქულით შეფასდნენ.

- ✓ **ფინანსური განათლება მიღებული ზოგადი განათლების დონის მიხედვით** - დადებითი კორელაცია გამოვლინდა, ასევე, ზოგადი და ფინანსური განათლების დონეებს შორის. უმაღლესი განათლების მქონე პირებმა უფრო მაღალი ცოდნა გამოავლინეს ფინანსურ საკითხებში (62,0 ქულა), ვიდრე ტექნიკური/პროფესიული განათლების (57,8) და სრული საშუალო სკოლის განათლების მქონე პირებმა (57,1 ქულა). ყველაზე დაბალი ცოდნით დაწყებითი სკოლის განათლების მქონე პირების სეგმენტი გამოიკვეთა (44,4).
- ✓ **ფინანსური განათლება რეგიონულ ჭრილში** - ქალაქის მოსახლეობამ სოფლად დასახლებულ პირებთან შედარებით უფრო მაღალი დონის ფინანსური განათლება გამოავლინა. საშუალოზე მაღალი განათლების დონე გამოვლინდა იმერეთის რეგიონში (62,1 ქულა), თბილისსა (60,5 ქულა) და აჭარის რეგიონში (59,5 ქულა), ხოლო ყველაზე დაბალი დონე მცხეთა-მთიანეთის (52,7 ქულა), სამეგრელოს (54,1 ქულა) და შიდა ქართლის (55,0) რეგიონების მაცხოვრებლებმა აჩვენეს.
- ✓ აღნიშნული კვლევის შედეგები არაერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. საქართველოს მოსახლეობის ფინანსური განათლება საშუალო დონეზეა, და შედეგების გაუმჯობესება ბევრი საკვანძო მიმართულებითაა შესაძლებელი. ფინანსური განათლების მაღალ დონეს, ჩვეულებრივ, ისეთი პოზიტიური შედეგები უკავშირდება, როგორცაა გაუმჯობესებული შემოსავალი და დასაქმების სტატუსი და ამრიგად, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცოდნის ამაღლება. დაბოლოს, ფინანსური განათლების დონე მკვეთრად განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში და სასურველია, რომ თითოეული ჯგუფისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო მიდგომები შეირჩეს.

37. ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდება მომავალში სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ ღონისძიებებისთვის სწორი აქცენტების გასაკეთებლად და უკეთესი შედეგების მისაღწევად. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ფართომასშტაბიანი და სიღრმისეული კვლევები მომავალშიც განხორციელდეს. ეს შესაძლებელს გახდის შეფასდეს სტრატეგიის განხორციელების შედეგები და მისი წარმატება.

38. გარდა ამისა, თითოეული პროგრამა, რომელიც განხორციელდება სტრატეგიის

ფარგლებში, შეძლებისდაგვარად უნდა შეიცავდეს კვლევის კომპონენტსაც, რომელიც მიზნობრივ სეგმენტში გაზომავს ფინანსური განათლების როგორც საწყის დონეს, ისე განხორციელებული პროგრამის ზეგავლენის ეფექტს, ანუ დონეს, რომელიც მიღწეულ იქნება აღნიშნული პროგრამის განხორციელებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ.

### 2.3. ფინანსური განათლების მაღალი საჭიროების მიზნობრივი ჯგუფები

39. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგია მიმართულია საქართველოს მთელს მოსახლეობაზე, სტრატეგიის ფარგლებში გამოიყო ფინანსური განათლების ამაღლების თვალსაზრისით მაღალი საჭიროებების მქონე მიზნობრივი ჯგუფები. ფინანსური განათლების კუთხით დასახული კოორდინირებული მიდგომებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ქვემოთ ჩამოთვლილ სეგმენტებზე:
- ✓ ახალგაზრდა თაობა - სტუდენტები და მოსწავლეები;
  - ✓ უმუშევარი მოსახლეობა;
  - ✓ დიდ კომპანიებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები;
  - ✓ სოფლის მოსახლეობა;
  - ✓ ადამიანები კონკრეტული ცხოვრებისეული მომენტების წინაშე.
40. **ახალგაზრდა თაობა** – ფინანსური განათლების საძირკველი ახალგაზრდა თაობაში უნდა ჩაიყაროს. პირადი ფინანსების მართვის ჩვევის გამომუშავება და შესაბამისი კულტურის ჩამოყალიბება ახალგაზრდა ასაკში უფრო მარტივია; ზრდასრულ ასაკში გაცილებით რთულია ადამიანის დამოკიდებულებების, ქცევისა და კულტურის თავისებურებების შეცვლა. ამდენად, ფინანსური განათლების მიწოდება ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიწყოს, რათა სამომავლოდ პირადი ფინანსების მართვა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცეს. სკოლის ასაკის მოსწავლეები ქვეყნის მომავალი თაობაა, ამიტომ გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყანა, მიმართავს რა თავის ძალისხმევას მოსწავლეების ფინანსურ განათლებაზე, ხელს უწყობს მათში სწორი ხედვებისა და უნარების ჩამოყალიბებას. აღნიშნული, ერთის მხრივ, ახალგაზრდებს სამომავლოდ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება, მეორე მხრივ კი, მათ მშობლებზეც ირიბად მოახდენს პოზიტიურ ზეგავლენის. სტუდენტები ფინანსური საკითხების შესწავლის თვალსაზრისით მაღალი რელევანტობის მქონე სეგმენტია, რამდენადაც ადამიანები სწორედ ამ ასაკში იწყებენ პირველი მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას. შესაბამისად, ფინანსური განათლების დონის ამაღლება ახალგაზრდებს სათანადო უნარებით შეაიარაღებს, რათა საკუთარი ცხოვრება ფინანსური კეთილდღეობის მიღწევის მიმართულებით დაგეგმონ.
41. **უმუშევარი მოსახლეობა** - უმუშევრობა ქვეყნის ერთ–ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა და მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამავდროულად, უმუშევარი მოსახლეობა სწორედ ის სეგმენტია, რომელიც ყველაზე მეტად განიცდის ფინანსური გაუნათლებლობით

გამოწვეულ პრობლემებს. ფინანსური განათლების დონის ამაღლება ამ სეგმენტს მეტ შანსს, შესაძლებლობასა და უნარს შესძენს საკუთარი ცხოვრების უკეთესი მიმართულებით სამართავად. ამასთან, ამ ჯგუფის ფინანსური განათლება გარკვეულწილად ხელს უნდა უწყობდეს უმუშევართა მოტივაციას, დაიწყონ საკუთარი ბიზნესი და ამ გზითაც გადაჭრან უმუშევრობით გამოწვეული პრობლემები.

42. **დიდ კომპანიებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული პირები** – დიდ კომპანიებში მოიაზრება როგორც კერძო, ისე საჯარო სტრუქტურების წარმომადგენლები; თვითონ ეს სეგმენტი კი, თავისი მასშტაბისა და მოცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფად იქნა მიჩნეული. ზოგადად, სამუშაო ადგილები მთელს მსოფლიოში ერთ–ერთ ყველაზე ეფექტურ არხად განიხილება განათლების მისაღებად, რამდენადაც აღნიშნული სივრცე დიდი რაოდენობის ადამიანებზე წვდომის შესაძლებლობას იძლევა შედარებით დაბალი დანახარჯებით.
43. **სოფლის მოსახლეობა** – 2014 წელს საქართველოში ჩატარებული საყოველთაო აღწერის მიხედვით, მოსახლეობის 42.6% პროცენტი სოფლად ცხოვრობს.<sup>5</sup> ამასთან, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება საქართველოსთვის ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. სოფლის მოსახლეობა, როგორც წესი, ფინანსური სექტორის ცენტრიდან მოშორებით ცხოვრობს და ნაკლები განათლება და უნარები აქვს იმისთვის, რომ სათანადოდ მართოს ოჯახის ფინანსები, მაქსიმალურად გამოიყენოს საჯარო სექტორის შემოთავაზებები საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად და უფრო ეფექტურად და გონივრულად განავითაროს საკუთარი მეურნეობა.
44. **ადამიანები კონკრეტული ცხოვრებისეული მომენტების წინაშე** - ეს სეგმენტი იმ ადამიანებს მოიცავს, რომლებიც ცხოვრების ამა თუ იმ მნიშვნელოვან, გადამწყვეტ ფაზაში იმყოფებიან და განსაკუთრებით საჭიროებენ ფინანსურ განათლებას. აღნიშნული ცხოვრებისეული მომენტები შეიძლება გულისხმობდეს სამსახურეობრივი ურთიერთობების დაწყებას, ქორწინებასა და ოჯახის შექმნას, ბავშვის დაბადებას, უმუშევრად დარჩენას, სახლის შეძენას, ავტომობილის შეძენას, და ასე შემდეგ. ამ კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების მიწოდება მოხდეს სწორ დროს, რადგანაც ამგვარ სიტუაციებში ადამიანებს მეტი მზაობა აქვთ, გაითავისონ და გამოიყენონ მიღებული ცოდნა.

<sup>5</sup> <http://census.ge/en/saqartvelos-mosakhleobis-ritskhovnoba-2015-tslis-1-ianvris-mdgomareobit/184#!prettyPhoto>



### 3. სტრატეგიული მიზნები და სამოქმედო გეგმები

#### 3.1. ფინანსური განათლების შინაარსი

45. ფინანსური განათლების ცნების გარშემო საერთო წარმოდგენის ჩამოყალიბების მიზნით, მოცემული სტრატეგიის დოკუმენტი გვთავაზობს ფინანსური განათლების ძირითადი საკითხების ჩამონათვალს:

- ✓ პირადი და ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვა და მართვა
- ✓ ფული და გადასახადები
- ✓ დანაზოგი და ინვესტიციები
- ✓ სესხები და მათი მართვა
- ✓ მომხმარებლების უფლებების ცოდნა და დაცვა
- ✓ ფინანსური მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და შედარების არხების მნიშვნელობა
- ✓ თაღლითობისა და ფინანსური დანაშაულის პრევენცია და ამგვარი შემთხვევებისგან თავდაცვის საშუალებები
- ✓ დაზღვევის საკითხები

46. ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განხორციელდება ზემოაღნიშნული ძირითადი საკითხების ირგვლივ. ამასთან, თითოეული სამიზნე ჯგუფის თავისებურებებიდან გამომდინარე, თითოეული ჯგუფისთვის რელევანტური საკითხების ჩამონათვალს შესაძლოა დაემატოს გარკვეული ელემენტები. ამასთან, კონკრეტული სემინტებისა და მათი საჭიროებების მიხედვით, სტრატეგიის მიზნების მისაღწევად შეირჩევა შესაბამისი მეთოდოლოგია, გზები, არხები და საშუალებები.

#### 3.2. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიული მიმართულებები

47. ფინანსური განათლების სტრატეგიის მიზნის მიღწევას ხელი უნდა შეუწყოს სამ სტრატეგიულ მიმართულებაზე ფოკუსირებამ:

- ✓ ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცოდნის ამაღლება – ფინანსური განათლების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება ხელს შეუწყობს ფინანსური განათლების ინიციატივებზე მოთხოვნისა და ამ ინიციატივების გამოყენების ზრდას;
- ✓ დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავება, რაც გამოიწვევს რესურსების ოპტიმიზაციას სინერჯის მიღწევის

მიზნით, ხელს შეუწყობს ფინანსური განათლების კუთხით წამოწყებების გავრცელებას და მათი გავლენის ზრდას, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

- ✓ **ფინანსური განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოება** – ფინანსური საკითხების შესწავლას ხელი ადრეული ასაკიდან უნდა შეეწყოს და ის მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გაგრძელდეს. ამასთან, ფინანსური განათლების შესახებ წამოწყებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბევრნაირი არხების მეშვეობით და სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

ქვემოთ მოცემულია ზემოაღნიშნული მიმართულებების განხილვა ე.წ. “5W და 1H”<sup>6</sup> სისტემის ჭრილში:

#### 48. ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცოდნის ამაღლება

- ✓ **რატომ?** საზოგადოებაში ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა შეგვიძლია ორი კუთხით განვიხილოთ: ერთის მხრივ, თუ ინდივიდები და შინამეურნეობები გაიაზრებენ ფინანსურ განათლებაში ჩართულობის მნიშვნელობას, მაშინ გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთ წამოწყებებზე მომხმარებლების მხრიდან მოთხოვნა გაიზრდება. მეორე მხრივ, გაზრდილი მოთხოვნა დაინტერესებულ მხარეებს გაუჩენს მოტივაციას, განავითარონ უკვე არსებული და დანერგონ ახალი წამოწყებები და საბოლოო ჯამში, გაზარდონ მათი გავლენა და გავრცელების არეალიც. ამრიგად, ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ სტაბილური და გრძელვადიანი ცოდნა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო წამოწყებებში ჩართულობას და შედეგად, ფინანსური განათლების ამაღლებას.
- ✓ **როგორ?** – ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცოდნის ამაღლებისთვის უნდა განხორციელდეს: (ა) ცოდნის ამაღლებასთან დაკავშირებული კამპანიების წარმოება, (ბ) ფინანსურ თემებზე არსებული სახელმძღვანელოებისა და სხვა რესურსების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ყველა ჩართულ და პოტენციურ დაინტერესებულ მხარეს შორის, ციფრული მედიისა და პირდაპირი მარკეტინგის გამოყენებით, (გ) საზოგადოების ფართო წრეების ჩართულობა სტრატეგიის მხარდაჭერისა და სტიმულირების მიზნით.
- ✓ **რა შედეგებს ველით?** (ა) ადამიანები ეცნობიან და აქტიურად იყენებენ არსებულ ინიციატივებს; მათ იციან, თუ სად უნდა მიიღონ სანდო ინფორმაცია, რათა გაიუმჯობესონ საკუთარი ფინანსური განათლების დონე.

<sup>6</sup> „5W და 1H“ სისტემა გულისხმობს საკითხის შეფასებას 6 ძირითად შეკითხვაზე - What? Why? When? Where? Who? How? - გაცემული პასუხების ჭრილში.



(ბ) გაზრდილი მოთხოვნისა და ცნობიერების ფონზე ფინანსური განათლების თემაზე ხდება უფრო და უფრო მეტი ინიციატივის განვითარება, (გ) ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებული ინიციატივების ირგვლივ ჩნდება დაინტერესებული მხარეების უფრო და უფრო მეტი გაერთიანება, (დ) ადამიანები უფრო კომფორტულად და ღიად საუბრობენ ფულთან დაკავშირებულ საკითხებზე.

- ✓ **ვინ არიან სამიზნე ჯგუფები?** – (ა) საქართველოს მოსახლეობა ზოგადად და განსაკუთრებით კი მაღალი საჭიროების სამიზნე ჯგუფები, (ბ) არსებული და პოტენციური დაინტერესებული მხარეები, (გ) ყველა შესაძლო დონორი და მხარდამჭერი ორგანიზაცია.
- ✓ **სად?** ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების არხების შერჩევა ხდება მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით. გავრცელების არხებთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია ამ დოკუმენტის 4.3 პუნქტში („ფინანსური განათლების პროგრამების განხორციელების არხები“).
- ✓ **როდის?** სტრატეგიის განხორციელების ზოგადი გეგმა ითვალისწინებს, რომ საზოგადოების ცნობიერებასა და კერძო ფინანსურ სექტორში მეტ-ნაკლებად ხელშესახები ცვლილებები უახლოესი 3 წლის განმავლობაში იქნება მიღწეული. თუმცა ის, თუ რას გულისხმობს კონკრეტულად ტერმინი „მეტ-ნაკლებად ხელშესახები ცვლილებები“, სადაც შესაძლებელია, ვადების მითითებით, უნდა აღიწეროს თითოეული პროგრამის სამოქმედო გეგმაში.

#### 49. დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავება

- ✓ **რატომ?** ფინანსური განათლების მნიშვნელობა ცალსახა და გასაგებია საზოგადოების ბევრი ფენისთვის და ამ სტრატეგიაში ჩართული დაინტერესებული მხარეები მზადყოფნას გამოთქვამენ საქართველოში ფინანსური განათლების ამაღლების საქმეში. იმისათვის, რომ მოხდეს სხვადასხვა სექტორს შორის რესურსების ოპტიმიზაცია, სტრატეგიის მიზნების მიღწევა, გაფართოვდეს სტრატეგიის გავრცელების არეალი, გაიზარდოს მისი პოზიტიური ზეგავლენა და უზრუნველყოფილ იქნეს ცოდნის სტაბილურობა, საჭიროა დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის გამტკიცება. ურთიერთთანამშრომლობა მნიშვნელოვანი პლატფორმა იქნება გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გასაზიარებლად, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოში ფინანსურ განათლებასთან დაკავშირებული ინიციატივების ეფექტიან განხორციელებას.
- ✓ **როგორ?** – თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით უნდა განხორციელდეს შემდეგი: (ა) დაინერგოს დაინტერესებულ მხარეებს



შორის ინფორმაციის ეფექტური მიმოცვლის სისტემა, რათა გაზიარდეს მიღებული გამოცდილება და შედეგები, (ბ) ფინანსური განათლების მიწოდებაში ჩართულ პირებს მიეცეთ პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება, (გ) წახალისდეს კვლევები და ნაშრომები ფინანსური განათლების მიმართულებით, რათა მოხდეს უფრო ფართო ინტერესისა და პარტნიორობის სტიმულირება საზოგადოების იმ ფენაში, რომელმაც უშუალოდ უნდა წარმართოს ფინანსური განათლების მოსახლეობისთვის მიწოდების პროცესი.

- ✓ **რა შედეგებს ველით?** (ა) მიღწეულია მაქსიმალური სინერგია და მნიშვნელოვანი ძალისხმევაა ჩადებული სხვადასხვა სექტორში, (ბ) ინტეგრირებული ხასიათი აქვს ყველა იმ მთავარ გზავნილს, რომელიც მოსახლეობაში ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ვრცელდება, (გ) შექმნილია პლატფორმა ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებისთვის, (დ) ფინანსური განათლების გამავრცელებელი პირების პროფესიული უნარები საკმარისადაა განვითარებული საიმისოდ, რომ ცოდნის სათანადოდ გავრცელება შეძლონ.
- ✓ **ვინ არის მიზნობრივი სეგმენტი?** არსებული და პოტენციული დაინტერესებული მხარეები.
- ✓ **სად?** სამუშაო პროცესი წარიმართება როგორც შიდა, ისე გარე, საჯარო არხების გამოყენებით.
- ✓ **როდის?** ზოგადად, კოორდინაციისა და ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცება რეგულარული ხასიათის პროცესი უნდა იყოს. თუმცა, თითოეულ პროგრამის სამოქმედო გეგმა უნდა აღწერდეს უფრო დეტალურ და კონკრეტულ გეგმებს, თუ როგორ განხორციელდება მოცემული პროგრამის ფარგლებში მასში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ფორმირება და/ან განმტკიცება.

#### 50. განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოება

- ✓ **რატომ?** მას შემდეგ, რაც ფინანსური განათლების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერება ამაღლდება და ადამიანები უფრო მოტივირებულნი გახდებიან მიიღონ მეტი ინფორმაცია და ცოდნა ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით, გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ უნდა გაიზარდოს განათლების მიწოდების არხები და საშუალებებიც.
- ✓ **როგორ?** – განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოების მიზნით უნდა განხორციელდეს: (ა) ფინანსური განათლების თემების ეტაპობრივად ჩართვა სასკოლო სწავლების პროცესში როგორც კლასგარეშე აქტივობების სახით, ისე უშუალოდ სასკოლო საგნებში, ეროვნული კურიკულუმის ნაწილის





სახით, (ბ) ფინანსური ინსტიტუტების წახალისება, რათა მოახდინონ ფინანსური განათლების ელემენტების ჩართვა საკომუნიკაციო და მარკეტინგულ სტრატეგიებში, (გ) მშობლებისა და მასწავლებლების წახალისება, რათა მოახდინონ სათანადო ფინანსური ქცევების დემონსტრირება და შესაბამისი მაგალითი მისცენ მომავალ თაობას, (დ) დამსაქმებლების მოტივირება, რომ ხელი შეუწყონ საკუთარი თანამშრომლების ფინანსურ კეთილდღეობას და საშუალება მისცენ ფინანსური განათლება სამუშაო ადგილებზევე მიიღონ, (ე) დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების ზრდა ფინანსური განათლების გავრცელების მიმართულებით „ტრენერების ტრენინგის“ ტიპის ინიციატივების მეშვეობით და მათი ყველა საჭირო რესურსითა და უნარით აღჭურვა, (ვ) ვებგვერდებისა და სხვა ღია და ადვილად ხელმისაწვდომი არხების განვითარება თვითგანათლებისათვის.

- ✓ **რა შედეგებს ველით?** (ა) გაზრდილია რესურსებსა და არხებზე ხელმისაწვდომობა ცოდნის მიღებით დაინტერესებული პირებისათვის, (ბ) ამაღლებულია ფინანსური განათლების წამოწყებებში სხვადასხვა სექტორებისა და ჯგუფების, მათ შორის, მაღალი საჭიროების მქონე სემინტების ჩართულობა, (გ) მშობლები, მასწავლებლები, დამსაქმებლები და საზოგადოების სხვა წევრები სწორი ქცევებისა და დამოკიდებულებების დემონსტრირებით სხვებს აძლევენ მაგალითს.
- ✓ **ვინ არიან სამიზნე ჯგუფები?** საქართველოს მოსახლეობა მთლიანად და განსაკუთრებით კი მაღალი საჭიროების მქონე სამიზნე ჯგუფები.
- ✓ **სად?** ფინანსური განათლების მისაღებად არხების შერჩევა მოხდა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით. ინფორმაცია არხებთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით აღწერილია მოცემული დოკუმენტის 4.3 პუნქტში (ფინანსური განათლების პროგრამების განხორციელების არხები).
- ✓ **როდის?** ზოგადად, ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებზე ცოდნის გავრცელება და შესაბამისი არხების განვითარება მუდმივი პროცესი უნდა იყოს. თითოეული პროგრამის სამოქმედო გეგმაში, რომელიც ამ სტრატეგიის ფარგლებში იქნება შემუშავებული, მოცემული იქნება ცალკეული მიზნის განხორციელების დროში გაწერილი გეგმა.

### 3.3. სტრატეგიის სამოქმედო პრინციპები

51. სტრატეგიის დანერგვა და შემდგომი განვითარება ემყარება ქვემოთ მოცემულ პრინციპებს:

- ✓ **მუშაობა პარტნიორობის საფუძველზე** - პარტნიორობა იძლევა ისეთი მიზნების

ეფექტურად მიღწევის საშუალებას, რომლებსაც ინდივიდუალური ძალისხმევა ვერ გასწვდებოდა. მუშაობა პარტნიორულ საწყისებზე შედეგად ცალკეული ორგანიზაციების რესურსებისა და გამოცდილების გამოყენების მაქსიმიზაციას მოიცავს. ამასთან, პარტნიორობა შესაძლებელს გახდის თავიდან იქნეს არიდებული როგორც სამუშაოს დუბლირება, ისე გადაფარვა, ვინაიდან ჩართული მხარეები ერთმანეთს გამოცდილებასა და ცოდნას გაუზიარებენ. კოორდინირებული მუშაობა გაცილებით მეტ ეფექტსა და გავლენას მოახდენს, ვიდრე ცალკეული და მრავალრიცხოვანი, თუმცა არაკოორდინირებული პროგრამების განხორციელება.

- ✓ **მეთოდებისა და არხების ფართო არჩევანზე ორიენტირება** - ყველა ადამიანი სხვადასხვაგვარად სწავლობს; ერთი კონკრეტული სეგმენტისთვის ეფექტური არხი და საკომუნიკაციო მეთოდი სხვა სეგმენტებისთვის შესაძლოა აბსოლუტურად მიუღებელი და შეუსაბამო აღმოჩნდეს. ამასთან, ზოგჯერ ადამიანებს სჭირდებათ განმეორებითი სახის შეტყობინებების მიღება, რათა გაიაზრონ ინფორმაცია, დაიმახსოვრონ და შესაბამისად იმოქმედონ.
- ✓ **არსებული ინიციატივებისა და გამოცდილების გამოყენება, მათ შორის, სხვა ქვეყნის მაგალითებზე სწავლა** - ფინანსური განათლების გამავრცელებელი პროგრამების ფორმირება და მიწოდება, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, უნდა განხორციელდეს არსებულ ინიციატივებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორც ქვეყანაში არსებული, ისე საერთაშორისო მოწინავე პრაქტიკის გათვალისწინებით. სხვა ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ადგილობრივი კონიუნქტურის თავისებურებები.
- ✓ **პრიორიტეტების განსაზღვრა** - რამდენადაც ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალური რესურსები ნებისმიერი ტიპის ამოცანის შესრულებისას უსასრულო არაა, ფინანსური სტრატეგიის ფარგლებში ამა თუ იმ პროგრამის განხორციელებაც პრიორიტეტიზაციის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. პრიორიტეტიზაციის ეტაპზე უნდა მოხდეს შემდეგი ძირითადი შეკითხვების გააზრება: რამდენად რეალისტურია მოცემული პროგრამის განხორციელება? მიწვდება თუ არა პროგრამა მაღალი საჭიროების მიზნობრივ სეგმენტებს? რამდენად მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის განხორციელებით მიღწეული შედეგი მიზნობრივი სეგმენტებისთვის? რა რესურსების ჩართვაა საჭირო პროგრამის განსახორციელებლად? და სხვა მსგავსი შეკითხვები.
- ✓ **ორიენტაცია მყარ ცვლილებებზე** - თუ პროგრამა თავისთავად არ ითვალისწინებს განგრძობად ეფექტს, მაშინ მიღწეული შედეგები სახარბიელოდ ვერ ჩაითვლება. ამდენად, სტრატეგიის ფარგლებში



მხარდაჭერილ უნდა იქნეს ისეთი ინიციატივები, რომლებიც გამოიწვევს განგრძობად და ჯაჭვურ პროცესებს. მაგალითად, „ტრენერების ტრენინგი“ განსაკუთრებული მნიშვნელობის ეტაპი იქნება განგრძობადობისა და მდგრადი ცვლილებების მისაღწევად.

- ✓ **ფოკუსირება მომხმარებლებსა და მათს საჭიროებებზე** - ფინანსური განათლების პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს მიზნობრივი აუდიტორიის საჭიროებებზე და არა იმ მხარეებზე, რომლებიც აფინანსებენ ან ახორციელებენ მოცემულ პროგრამას. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ კარგად იქნეს გააზრებული აღნიშნული კონკრეტული სექტორების საჭიროებები.
- ✓ **ეფექტიანი კომუნიკაცია** - გამოცდილება აჩვენებს, რომ ადამიანები უკეთ აღიქვამენ, იმახსოვრებენ და რეალურ ცხოვრებაში იყენებენ ფინანსური განათლების ისეთ გზავნილებს, რომლებიც გადმოცემულია ცხადად, მარტივად და მოკლედ. ამასთან, ეფექტურია გზავნილები, რომლებიც მიზნობრივი სეგმენტისთვის რელევანტურ სიტუაციურ მაგალითებს იყენებს. ამდენად, როცა ამა თუ იმ სეგმენტისთვის ხდება ფინანსური განათლების პროგრამების შემუშავება და საკომუნიკაციო გზავნილების ფორმირება, აუცილებლად უნდა მოხდეს შემდეგი შეკითხვის გააზრება და მასზე პასუხის გაცემა: „რამდენად ეფექტიანი იქნება კომუნიკაციის ჩვენს მიერ შერჩეული მეთოდი მოცემულ სეგმენტთან ურთიერთობისთვის?“
- ✓ **ხარჯების ეფექტურობის მაქსიმიზაცია** - მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური განათლების ამდლების მიზნით რესურსების გამოყენება მოხდეს ხარჯების ეფექტურად გაწევის პრინციპის გათვალისწინებით. ხარჯების ეფექტურობის მაქსიმიზაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა შეირჩეს და შესაბამისი ხარჯების გაწევა დაიგეგმოს შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: (ა) მოსალოდნელი გავლენა მიზნობრივ სეგმენტზე, (ბ) სეგმენტის მოცულობა, ანუ იმ პირების რაოდენობა მიზნობრივი სეგმენტიდან, რომლებზეც მოცემული პროგრამა იქონიებს გავლენას, (გ) აუცილებელი ხარჯები, (დ) მდგრადი ცვლილებების განხორციელების ალბათობა – პროგრამის განგრძობადობის შესაძლებლობა საწყისი ინვესტიციის გაწევის შემდგომ, (ე) სხვა რესურსების ჩართვის შესაძლებლობები.

### 3.4. ფინანსური განათლების პროგრამების განხორციელების არხები

52. ფინანსური განათლების მიწოდების არხების ეფექტურად შერჩევის მიზნით ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალი საჭიროების მიზნობრივ ჯგუფებზე და აიღწეროს ის არხები



და სივრცეები, რომლებიც ამ ჯგუფებისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

53. **სკოლები** - სკოლები კარგ არხებს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებში ფინანსური განათლების გასავრცელებლად. სკოლები ფინანსური განათლების მისაღებად სასტარტო წერტილია და ფინანსური განათლება დაბალი კლასებიდანვე უნდა დაიწყოს. საწყის ეტაპზე საგანმანათლებლო აქტივობები შეიძლება მოიცავდეს კლასგარეშე აქტივობებს, ხოლო მათი ძირითადი მიზანი სკოლებისა და ფინანსური სექტორების ერთმანეთთან დაახლოება უნდა იყოს. მისასაღმებელია ასევე სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება - როგორცაა, შეჯიბრებები და ოლიმპიადები - რომლებიც ბავშვებში ფინანსურ საკითხებზე ცოდნის დაგროვებას წახალისებს. სწავლების მომდევნო ეტაპებზე უნდა განხორციელდეს ფინანსური საგნების სასკოლო კურიკულუმებში ინტეგრაცია. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ინიციატივები სკოლის მასწავლებლებისთვის, ვინაიდან ამის გარეშე სტრატეგიის წარმატებული განხორციელება წარმოუდგენელი იქნება. ამდენად, უნდა განვითარდეს მასწავლებლების მომზადებისთვის/სწავლებისთვის აუცილებელი გარემო და სასწავლო მასალები.
54. **უმაღლესი განათლების დაწესებულებები** - უმაღლესი განათლების დაწესებულებები ის სივრცეა, რომლის მეშვეობითაც მოხდება მეორე ძალიან მნიშვნელოვან სეგმენტთან – სტუდენტებთან დაკავშირება. იმისთვის, რომ სტუდენტებში ფინანსური განათლების დონე გაუმჯობესდეს, საჭიროა შესაბამისი თემების ჩართვა მოხდეს მათი სასწავლო კურსის კურიკულუმებში; ასევე, წახალისდეს სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები, შეჯიბრებები და განხორციელდეს კოორდინირებული ქმედებები სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად.
55. **არხები უმუშევარი მოსახლეობისათვის** - უმუშევარი მოსახლეობისთვის ფინანსური განათლების მიწოდებისთვის მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული მათი ქცევითი თავისებურებები და ადგილები, სადაც ისინი მეტი ალბათობით არიან ხელმისაწვდომნი. ამდენად, შესაბამის არხებს შორის შესაძლოა განხილულ იქნეს სატელევიზიო და რადიო გადაცემები, საინფორმაციო ვებ-გვერდები და სოციალური მედიის არხები. გარდა ამისა, ეფექტური იქნება ფოკუსირება იმ არხებზე, რომლებიც დასაქმებისათვის გამოიყენება - მათ შორის, ვებ-გვერდები აქტიური ვაკანსიებით, დამსაქმებელი/რეკრუიტერი ორგანიზაციები, საჯარო და კერძო სტრუქტურები, რომლებიც სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებენ ინდივიდების პროფესიული და ზოგადი განათლების დონის ასამაღლებლად.
56. **სამუშაო ადგილები** - სამუშაო ადგილები დასაქმებულ ადამიანებთან დასაკავშირებლად საუკეთესო არხებად მოიაზრება. ამ არხებში იგლისხმება მოცულობითი კომპანიები როგორც კერძო სექტორიდან, ისე დიდი სტრუქტურები საჯარო სივრციდან (მაგალითად, სამხედრო პირები, სახელმწიფო დაცვის სამსახური და ა.შ.) სამუშაო

ადგილებზე სწავლების წახალისება ფინანსური განათლების ერთ-ერთი ძირითადი შესაძლებლობაა.

57. **ადგილობრივი რესურსცენტრები** - ადგილობრივი რესურსცენტრები ეფექტურ გზას წარმოადგენს სოფლის მოსახლეობასთან დასაკავშირებლად. ამ ტიპის არხებში მოიაზრება ადგილობრივი სატელევიზიო არხები, განათლების გამავრცელებელი მოძრავი პლატფორმები (სპეციალური „სასწავლო“ ავტობუსები), გასვლითი სალექციო კურსები და სხვა.
58. **არხები ადამიანებისათვის, რომლებიც კონკრეტული ცხოვრებისეული მომენტების წინაშე დგანან** - მნიშვნელოვანი იქნება ფოკუსირება ისეთ ადგილებსა და არხებზე, სადაც ადამიანები სწორედ ამ „კონკრეტული ცხოვრებისეული მომენტების“ დროს ხვდებიან. მაგალითად, ქორწინების რეგისტრაციის ოფისები რელევანტური იქნება იმ სეგმენტისთვის, რომელიც ოჯახის შექმნას გეგმავს; ორსულთა მოვლის ცენტრები – მომავალი დედებისათვის; ავტო ბაზრობები – იმ სეგმენტისთვის, რომელიც ავტომობილის შეძენას აპირებს; კარიერის დაგეგმვის საკონსულტაციო ცენტრები და ბანკის ფილიალები – დამამთავრებელი სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას გეგმავენ და ა.შ.
59. გარდა ზემოხსენებული არხებისა, სპეციფიურ ჯგუფებსა თუ სეგმენტებთან დაკავშირების მიზნით შესაძლოა სხვა რელევანტური არხებისა და მეთოდების გამოყენება. აღნიშნული არხებისა და მეთოდების აღწერა კი უნდა მოხდეს მოცემული სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებული ცალკეული პროგრამების სამოქმედო გეგმაში.

## 4. მონიტორინგი და შედეგების გაზომვა

### 4.1. საზოგადოების ფინანსური განათლების დონის რეგულარული შეფასება

60. ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა წამოწყებაში, სტრატეგიის განხორციელების საქმეშიც მონიტორინგი და მიღწეული შედეგების შეფასება არსებითი მნიშვნელობის საკითხებია. მათი მიზანია გამოვლინდეს, თუ რომელი ტიპის ქმედებებმა/პროგრამებმა მოიტანა სასურველი შედეგები და რომელი მიდგომებით წარმატების მიღწევა ვერ მოხერხდა.
61. ეროვნული ბანკი, დაინტერესებულ მხარეებთან და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მომავალში ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის შესაფასებელი კვლევის განხორციელებას უზრუნველყოფს. მიზანშეწონილად მიიჩნევა მსგავსი კვლევის ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ჩატარება.
62. რეგულარული მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, გამოვლენილ ხარვეზებსა და მიღწევებზე დაყრდნობით, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს როგორც დასახული ქმედებების, ისე მიღებული შედეგების სრულყოფას.
63. ცალკეული სასწავლო პროგრამების პროვაიდერების მხრიდან განხორციელდება კონკრეტულად მათი კურატორობით მიმდინარე პროგრამების შედეგების შეფასება, ხოლო სტრატეგიის შემფასებელი ცენტრალიზებული ორგანო, ანუ საქართველოს ეროვნული ბანკი მმართველ ორგანოსთან ერთად, უკვე ზოგადი სტრატეგიის მიმდინარეობასა და შედეგებს შეაფასებს.

### 4.2. ფინანსური განათლების პროგრამების მონიტორინგი და შედეგების გაზომვა

64. მნიშვნელოვანია ფინანსური განათლების ცალკეული პროგრამებით მიღებული შედეგების შეფასება პროგრამების ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით.
65. ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების მიზნით თითოეულ პროგრამას უნდა გააჩნდეს ნათელი და გაზომვადი მიზნები.
66. თითოეულ პროგრამას, როგორც სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს, უნდა გააჩნდეს შეფასებისა და გაზომვის ნათლად გაწერილი მექანიზმები, რითიც შეფასდება, თუ რამდენად შეუწყო ხელი აღნიშნულმა პროგრამამ დასახული მიზნების მიღწევას.
67. თითოეული პროგრამის ჭრილში საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მონაცემების საწყისი და საბოლოო შედეგები, რათა სათანადოდ გაანალიზდეს პროექტის ეფექტურობა და მასზე მოქმედი ფაქტორები.
68. შეფასებები აქცენტს უნდა აკეთებდეს პროგრამის ბენეფიციართა ცოდნის, დამოკიდებულებების, და, სადაც შესაძლებელია, ქცევის შეფასებაზე. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია მათი აზრის გათვალისწინებაც, ვინც უშუალოდ ახორციელებს პროგრამას.

69. დაბოლოს, აუცილებელია გაკონტროლდეს და პერიოდულად გადაიხედოს უშუალოდ პროგრამის მიმდინარეობის პროცესიც.

## 5. პროგრამების დაფინანსება

70. ფინანსური განათლების პროგრამების განხორციელება დაკავშირებულია მნიშვნელოვან და გრძელვადიან დაფინანსებასთან. სტრატეგიის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ფინანსების გამოყოფა როგორც უშუალოდ ფინანსური განათლების ინდივიდუალური პროგრამების დიზაინისა და შემუშავების, ისე მათი განხორციელების ეტაპებზე.

71. დაფინანსების წყაროების სახით განიხილება:

- ✓ **საჯარო ინსტიტუტები** - შესაბამისი საჯარო დაწესებულებები, მათი კომპეტენციისა და მანდატის ფარგლებში, განხორციელებენ საკუთარი შრომითი რესურსების ჩართვას სტრატეგიის განხორციელების პროცესში.
- ✓ **დონორი ორგანიზაციები** - თემის რელევანტურობიდან გამომდინარე, რიგი საერთაშორისო და ადგილობრივი ინსტიტუტები გამოთქვამენ მზადყოფნას დააფინანსონ ფინანსური განათლების პროგრამები.
- ✓ **ფინანსური ინსტიტუტები** - ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსებით ფინანსური ინსტიტუტები აცნობიერებენ, რომ საკუთარი ფინანსებისა და ძალისხმევის გაზიარებით სინერგიულ და ორმხრივად მომგებიან ეფექტს იღებენ.
- ✓ **სხვა ორგანიზაციები** - ფინანსური განათლების პროგრამებში ორგანიზაციების ჩართვა, მათი შესაძლებლობების ფარგლებში, შესაძლოა განხორციელდეს ირიბი მხარდაჭერის გზითაც. მაგალითად, პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, ორგანიზაციებს შეუძლიათ მხარდაჭერის გაწევა საგანმანათლებლო ბროშურების უფასოდ გავრცელებით, სემინარებისა თუ სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზებისათვის სივრცის გამოყოფით და ასე შემდეგ.